

შპს „თერგი I“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	6-15

შპს „თერგი I“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

შენიშვნა		2019	2018
შემოსავალი		3 537	3 503
სულ შემოსავლები		3 537	3 503
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1 641)	(1 719)
საპროცენტო ხარჯი		(769)	(880)
მოგება/ზარალი სავალურო ოპერაციებზე, წმინდა	6	(739)	(299)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		-	(67)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(183)	-
საოპერაციო მოგება		205	538
მოგების გადასახადი		(45)	(38)
წმინდა მოგება/ზარალი		160	500

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

 დირექტორი
 ჯემალ ქადაგიშვილი

შპს „თერგი I“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება		20 218	20 299
მონაწილეობა შვილობილ საწარმოში		6 742	7 111
ძირითადი საშუალებები	7	472	545
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 433	27 956
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	462	476
მომწოდებლებზე გადახდილი და სხვა ავანსები		13	491
ფული და ფულის ექვივალენტები	9	9	2
სულ მიმდინარე აქტივები		485	970
სულ აქტივები		27 918	28 926
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		18 199	18 420
სულ კაპიტალი		18 201	18 422
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	7 889	8 989
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7 889	8 989
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 751	952
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		43	127
მიღებული ავანსები		2	382
საგადასახადო ვალდებულებები		22	38
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		10	14
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 828	1 513
სულ ვალდებულებები		9 717	10 502
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27 918	28 924

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ჯემალ ქადაგიშვილი

შპს „თერგი I“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

	საწესდებო კაპირალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2	18 420	18 422
სულ წლის სრული შემოსავალი	-	160	160
გადახდილი დივიდენდები	-	(381)	(381)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2	18 199	18 201

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

 დირექტორი
 ჯემალ ქადაგიშვილი

შპს „თერგი I“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

თანხები მოცემული ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2019	2018
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	4 393	4 183
სხვა ფულადი შემოსავლები	31	-
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(1 612)	(1 006)
გადახდილი ხელფასები	(569)	(658)
გადახდილი გადასახადები	(750)	(741)
სხვა ფულადი ხარჯები	(19)	(13)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 474	1 765
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
შენიშნული გადაცემიდან მიღებული თანხები	430	-
მიღებული დივიდენდები	369	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(25)	(58)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	774	(58)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	10 198	-
დაფარული სესხები	(11 997)	(1 715)
გადახდილი დივიდენდები	(435)	(173)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2 234)	(1 888)
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში	14	(181)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(7)	(7)
ფულადი სახსრებისა წმინდა ცვლილება	7	(188)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2	190
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	9	2

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ჯემალ ქადაგიშვილი

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „თერგი 1“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1995 წლის 25 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 201945244.

ძირითადი საქმიანობა. შპს „თერგის 1“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი.

კომპანიის მეწილეები: შპს თი ელ ჯი - 69,6%, ჯემალ ქადაგიშვილი - 7,8%, რეზო ჯაფარაშვილი - 5,8%, ჯემალ გუნია 4%, თეონა ბაგრატიონი - 12,8%.

ინვესტიციები: შპს თერგი 1 ფლობს 44,57%-იან წილს შპს ქალაქის გულში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შედგებოდა 13 კაცისგან.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2019	01-იან-2019
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ელექტროგადამცემის საშუალებები	8%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%- იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
შრომის ანაზღაურება	652	726
ელ. ენერგიის ხარჯი	471	433
კომუნალური ხარჯი	131	127
ცვეთის ხარჯი	124	130
დაცვის ხარჯი	116	116
საგადასახადო ხარჯები	33	34
მივლინების ხარჯები	16	62
კომუნიკაციის ხარჯები	15	10
შენობების რემონტის ხარჯი	12	19
დაზღვევის ხარჯები	9	5
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	62	57
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 641	1 719

6. ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, ლარში	2019	2018
დადებითი საკურსო სხვაობა	(322)	(900)
უარყოფითი საკურსო სხვაობა	1 061	1 199
ჯამი	739	299

7. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)

	მიწა	მიმოსვლის გზები	შენობები	მანქანა დანადგარები	ელ. გადაცემის საშუალებები	კომპ. ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	16	19	265	8	398	22	95	823
შეძენა	-	13	-	-	-	12	1	26
ჩამოწერა	-	-	-	-	(116)	(2)	(3)	(121)
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	16	32	265	8	282	32	93	728
ცვეთა	მიწა	მიმოსვლის გზები	შენობები	მანქანა დანადგარები	ელ. გადაცემის საშუალებები	კომპ. ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	-	(11)	(77)	(6)	(157)	(10)	(17)	(278)
დამატება	-	(1)	(13)	-	(19)	(4)	(6)	(43)
შემცირება	-	-	-	-	65	2	-	67
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	(12)	(90)	(6)	(111)	(12)	(23)	(254)
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	16	8	188	2	241	12	78	545
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	16	20	175	2	171	20	70	472

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ლარში	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	63	58
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	399	418
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	462	476

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, ლარში	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	1	1
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5	-
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3	1
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	2

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. სესხები

კომპანიის მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, ხოლო გრძელვადიანი სესხი არის 2019 წლის ივლისში სს "საქართველოს ბანკისგან" 6.5%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი, რომლის დაფარვის ბოლო თარიღია 2026 წლის დეკემბერი.

11. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

12. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS

24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები; ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია ა ან დ-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, დ ან ე-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

(თანხები მოცემულია ლარში)

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43	462	45	476
-მფლობელები	28		24	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	15		21	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	43	67	127
-მფლობელები	-		62	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	-		5	
გაცემული ავანსები	-	13	430	491
-ასოცირებული კომპანია	-		430	

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია
შემოსავალიები	3 373	3 537	3 352	3 503
-მფლობელები	3 206		3 210	
-ასოცირებული კომპანია	97		87	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	70		55	
სხვა საერთო და ადმინ. ხარჯი	2	1 641	-	1 719
-მფლობელები	2		-	

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2020 წლის 15 ივნისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს „თერგი I“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

შენიშვნა		2019	2018
შემოსავალი		3 537	3 503
სულშემოსავლები		3 537	3 503
ზოგადიდაადმინისტრაციული ხარჯები	5	(1 641)	(1 719)
საპროცენტო ხარჯი		(769)	(880)
მოგება/ზარალისავალუროპერაციებზე, წმინდა	6	(739)	(299)
სხვაარასაოპერაციოშემოსავალი, წმინდა		-	(67)
სხვაარასაოპერაციოხარჯი, წმინდა		(183)	-
საოპერაციომოგება		205	538
მოგებისგადასახადი		(45)	(38)
წმინდამოგება/ზარალი		160	500

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
 ჯემალ ქადაგიშვილი

შპს „თერგი I“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანაქტივები			
საინვესტიციოქონება		20 218	20 299
მონაწილეობაშვილობილსაწარმოში		6 742	7 111
ძირითადისაშუალეობები	7	472	545
არამატერიალურიაქტივები		1	1
სულგრძელვადიანაქტივები		27 433	27 956
მიმდინარეაქტივები			
მარაგები		1	1
სავაჭროდასხვამოთხოვნები	8	462	476
მომწოდებლებზეგადახდილიდასხვაავანსები		13	491
ფულიდაფულისექვივალენტები	9	9	2
სულმიმდინარეაქტივები		485	970
სულაქტივები		27 918	28 926
საკუთარიკაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი		2	2
გაუნაწილებელიმოგება		18 199	18 420
სულკაპიტალი		18 201	18 422
გრძელვადიანივალდებულებები			
გრძელვადიანისესხები	10	7 889	8 989
სულგრძელვადიანივალდებულებები		7 889	8 989
მიმდინარევალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 751	952
სავაჭროდასხვავალდებულებები		43	127
მიღებულიავანსები		2	382
საგადასახადოვალდებულებები		22	38
სხვამიმდინარევალდებულებები		10	14
სულმიმდინარევალდებულებები		1 828	1 513
სულვალდებულებები		9 717	10 502
სულკაპიტალიდავალდებულებები		27 918	28 924

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი

ჯემალ ქადაგიშვილი

შპს „თერგი I“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

	საწესდებოკაპირ ალი	გაუნაწილებელიმოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულკაპიტა ლი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2	18 420	18 422
სულწლისსრულიშემოსავა ლი	-	160	160
გადახდილიდივიდენდები	-	(381)	(381)
ბალანსი 31 დეკემბერ 2019	2	18 199	18 201

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
 ჯემალ ქადაგიშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

ჯემალ ქადაგიშვილი